



განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სასწავლო პროცესის შეფასების და პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ბხსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვები. გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე მუშავდება და დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. განიხილება ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა წინადადებები საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც შეიძლება გახდეს სასწავლო კურსების ჩანაცვლების, ძირითადი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის შეცვლის ან/და არჩევითი სასწავლო კურსების დამატების, სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალების და ლიტერატურის განახლების საფუძველი. ყოველივე ეს წინაპირობაა პროგრამის განვითარებისა და მოდიფიცირებისა (საჭიროების შემთხვევაში).

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.

სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნებათმცოდნეობა“

სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: ნაწილობრივ შეიცვალა სასწავლო პროგრამის სტრუქტურა, განახლდა სილაბუსები, ახალი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე დაიხვეწა სასწავლო კურსების შინაარსი, გაფართოვდა სასწავლო კურსების თემატიკა, განახლდა სასწავლო რესურსი, საგნის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა შეფასების ადეკვატური მრავალკომპონენტური მეთოდები და კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ:

1. ნაწილობრივ შეიცვალა სასწავლო პროცესების სტრუქტურა, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი პრინციპით: 120 კრედიტი - პროგრამის ძირითადი სავალდებულო კურსები, 10 კრედიტი - საბაკალავრო ნაშრომი, 25 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი კურსები, 15

კრედიტი - საუნივერსიტეტო კურსები, 30 კრედიტი - სავალდებულო საფაკულტეტო კურსები, 40 კრედიტი - თავისუფალი არჩევითი კურსები.

2. სპეციალობის არჩევითი საგნები ნაცვლად II-III სემესტრებისა გადატანილ იქნა V-VII სემესტრებში, რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებისა და წინ წლებში შეძენილი ცოდნის გათვალისწინებით შეადგინოს არჩევითი კურსების მოდული. გაიზარდა სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა, რაცარსებული 15 კრედიტის ნაცვლად, განისაზღვრა 25 კრედიტით.

3. პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი „შესავალი ისტორიოგრაფიაში“, რომელიც ისტორიულ და ზოგად კულტურულ-ლოგიურ ჭრილში შეასწავლის სტუდენტს ხელოვნებათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების გზას, ხელოვნების ნაწარმოების აღქმის, ანალიზისა და შეფასების მექანიზმებს, კვლევის მეთოდებს, ხელოვნებათმცოდნეობის კლასიკოს ისტორიკოსთა შეხედულებებსა და ფუნდამენტურ თეორიებს.

4. სასწავლო კურსი „ძველი ქართული დამწერლობა“ მე-5 სემესტრიდან გადმოტანილ იქნა მე-3 სემესტრში, რადგან ძველი ქართული დამწერლობის წერითი სისტემების, წერა-კითხვისა და დამწერლობის პალეოგრაფიული ანალიზის უნარები დაეხმარება სტუდენტს, გამოიყენოს ცოდნა მომდევნო სემესტრების სასწავლო დისციპლინების (ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, შუა საუკუნეების ქართული პლასტიკა, შუა საუკუნეების ქართული ფერწერა) შესწავლაში.

5. სასწავლო კურსი „ისლამური ხელოვნება“ რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა წინადადებების საფუძველზე, სპეციალობის არჩევითი დისციპლინების ბლოკიდან გადმოტანილ იქნა პროგრამის ძირითადი სავალდებულო კურსების ბლოკში. გაფართოვდა სასწავლო კურსის შინაარსი და დამსაქმებელთა მოთხოვნებით, მასში გაერთიანდა შუა საუკუნეების ჩინეთის, ინდოეთისა და იაპონიის ხელოვნების ისტორიის ზოგადი საკითხები. აქედან გამომდინარე, კურსის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით - „შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ხელოვნება (ისლამური ქვეყნები, ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია)“ .

6. სასწავლო კურსი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“ ნაცვლად მე-6 სემესტრისა, შეისწავლება მე-4 სემესტრში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მხრიდან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში არსებული პრობლემების დროულად გაცნობიერებას და მათ ჩართვას პრობლემატური საკითხების განხილვაში.

7. შემუშავდა ახალი სასწავლო დისციპლინები. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სპეციალობის არჩევითი დისციპლინების რაოდენობა და შინაარსობრივი მხარე. გაიზარდა არჩევითი ბლოკის სავალდებულო კრედიტების რაოდენობა (ნაცვლად 15 კრედიტისა სავალდებულოა 25 კრედიტის სასწავლო კურსების არჩევა).

7.1 „არქეოლოგიური კულტურის ძეგლები საქართველოში“ - სასწავლო კურსის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური კულტურების ფართოდ გაცნობა, ხელოვნების ნიმუშებისა და არქეოლოგიური მასალების ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში შესწავლა, არქეოლოგიური მონაპოვრის მნიშვნელობის განსაზღვრა და ცოდნის გამოყენება ხელოვნების ნიმუშების დათარიღებისა და ინტერპრეტაციის პროცესში.

7.2 „მეგლთა აღწერისა დოკუმენტირების საფუძვლები“ - ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (ხუროთმოძღვრება, ფრესკა, რელიეფური ქანდაკება, ლითონპლასტიკა და სხვ.), ხელოვნების ნიმუშის ფიქსაციის, ტექსტური და გრაფიკული დოკუმენტაციის შედგენის საბაზისო უნარების გამომუშავებას, ძეგლის შესწავლის საწყის ეტაპზე თეორიული და პრაქტიკული ინფორმაციების მოპოვების, დაკვირვების, აღწერის, იდენტიფიცირების, ანალიზის, საველე-პრაქტიკული და კვლევითი ჩვევების გამომუშავებას. აღნიშნულ სასწავლო კურსში გათვალისწინებულია დამსაქმებელთა მოთხოვნები, რაც გულისხმობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღწერისა და დოკუმენტირების საბაზისო უნარების ფლობას.

7.3 „ფერთმცოდნეობის საფუძვლები“ - სპეციალურად შემუშავებულია ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის სტუდენტებისათვის და მიზნად ისახავს ფერის ჰარმონიის და კონტრასტების სხვადასხვა მოდელის, თვისებებისა და კანონზომიერებების შესწავლას ფერთმეტყველების კანონების საფუძველზე. სასწავლო კურსი ასევე ემსახურება სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებას და მის გამოყენებას შემოქმედებით, სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში დასაქმების შემთხვევაში.

7.4 სასწავლო კურსის „გამოყენებითი ხელოვნების საფუძვლები (პრაქტიკული კურსი)“ შემუშავება დაეფუძნა კურსდამთავრებულთა მოთხოვნებს. საგანი მიზნად ისახავს საბაზისო შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას და საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს, პრაქტიკულ-შემოქმედებითი უნარები გამოიყენოს შრომის ბაზარზე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში დასაქმების შემთხვევაში.

7.5 სტუდენტთა ინტერესების საფუძველზე, სპეციალობის არჩევითი კურსების ბლოკს დაემატა კურსი „ქართული ეროვნული სამოსი“, რომელიც შეასწავლის სტუდენტს ქართული ეროვნული სამოსის განვითარების ისტორიულ პროცესებს, მხატვრულ თავისებურებებს.

7.6 „რელიგიების ისტორია“ - მიზნად ისახავს რწმენისა და მსოფლმხედველობის ზოგადი და კონკრეტული საკითხების გაშუქებას, მსოფლიო რელიგიების, რელიგიური სისტემების საკლასიფიკაციო ნიშნების შესწავლა-ანალიზს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ხელოვნებაში მიმდინარე მხატვრული პროცესების გაცნობიერებას რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ კონტექსტში.

7.7 სასწავლო კურსში „ფოტოხელოვნება“ სინთეზირებულია ფოტოხელოვნების თეორიულ-პრაქტიკული ასპექტები, იგი შეასწავლის სტუდენტს ფოტოხელოვნების საფუძვლებს, ვიზუალური გამოსახულების ტექნიკურ-შემოქმედებითი ასახვის მეთოდებს, ხერხებს, კომპოზიის აგების კანონებს, სტუდიური და არასტუდიური გადაღების თავისებურებებს, რომლის ცოდნა სასურველია ხელოვნების ისტორიისა და თეორიის პროგრამის კურსდამთავრებულთათვის. სასწავლო კურსის შინაარსი ითვალისწინებს არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების ნიმუშების გადაღების სპეციფიკის გაცნობას.

7.8 უცხო ენის ცოდნის დონის გასაღრმავებლად შემუშავდა სპეც. ინგლისური ენის არჩევითი სასწავლო კურსები: A 2-1, A 2-2, B1-1, B1-2, B2-1, B2-2 .

7.9 დამსაქმებელთა წინადადებების გათვალისწინებით, ამავე ბლოკში ჩართულ იქნა სასწავლო კურსი „ძველი ბერძნული ენა“.

8. სპეციალობის სასწავლო კურსებში განახლდა რიდერები ქართულ ენაზე;

9. ბიბლიოთეკა შეივსო ახალი სასწავლო რესურსებით - წიგნებითა და ელექტრონული მასალებით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტელე-რადიო ჟურნალისტიკა“

სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად, პროგრამაში გაძლიერდა: ქართული ენის სწავლების კომპონენტი (ისწავლებოდა მხოლოდ აკადემიური წერა. დაემატა პრაქტიკული სტილისტიკა, ანალიზის და მოსაზრების წერა), დაიხვეწა მეტყველების კულტურის მიმართულებით სწავლების მეთოდიკა. ახალი ამბების ჟურნალისტიკის მიმართულებას დაემატა კრედიტები და გადანაწილდა სამ სემესტრზე, რაც საშუალებას იძლევა, სტუდენტმა შეისწავლოს ინფორმაციული ჟურნალისტიკა მედიაბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. ამ მხრივ, ასევე გაძლიერდა ანალიტიკური ჟურნალისტიკის, ახალი მედიის, აუდიო-მონტაჟისა და ტელოპერატორის ოსტატობის სწავლება.

შემუშავდა სპეციალობის ახალი არჩევითი კურსები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდის სტუდენტის ზოგად და დარგობრივ ცოდნას და კომპეტენციებს.

მთელ რიგ დისციპლინებში დაიხვეწა სასწავლო კურსების სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რაც ითვალისწინებს წერიით და ზეპირი ფორმით (ვერბალური და აუდიო-ვიდეო) პრაქტიკული დავალებების შესრულება-პრეზენტაციას, როლურ და სიტუაციურ თამაშებს, რეალურ რესპონდენტებთან მუშაობას, ახალი ამბების, ანალიტიკური და შემოქმედებითი სიუჟეტების მომზადებას, სხვადასხვა ჟანრისა და ფორმატის (სასწავლო) გადაცემებზე მუშაობას, საგამოცდო პრაქტიკული (საშემსრულებლო) პროექტების მომზადებას და ა.შ. ეს აქტივობები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სტუდენტებში ახალი ამბების/თემების მოძიების და დამუშავების ანალიტიკური უნარების განვითარებას, რესპონდენტებთან კომუნიკაციას, გააუმჯობესებს მთელ რიგ პროფესიულ უნარ-ჩვევებს: დედლაინზე მუშაობის, წყაროებთან მუშაობის, ინტერნეტ რესურსების მოძიების, ჟურნალისტური მასალის მომზადების და მედიაგაშუქების, საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად ვიდეოგადაღების და მასალის მონტაჟურ - ახალ ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარ-ჩვევებს.

საგანმანათლებლო პროგრამით, ბოლო სემესტრში გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკა, რომლის მეშვეობით ხორციელდება სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გაძლიერება და განმტკიცება უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე (ტელევიზიასა და რადიოში). დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებს მათი მხრიდან საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფას ბხსუ-ს სტუდენტებისათვის,

რომელიც ხორციელდება ტელევიზიისა და რადიოს დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით: საინფორმაციო, ანალიტიკური და მხატვრული (შემოქმედებითი) ჟურნალისტიკის მიმართულებით.

დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზია და რადიოში საწარმოო პრაქტიკა განხორციელდება ახალი ამბების, ანალიტიკის და შემოქმედებითი ჟურნალისტიკის მიმართულებით, ხოლო შპს ტელეკომპანია 25-ში - ოპერატორის და რეპორტიორის პოზიციაზე, რაც პირდაპირ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურული ტურიზმი“

ჩატარებული გამოკითხვების საფუძველზე, ცვლილება განიცადა სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობამ, ვინაიდან პროგრამის ყველა სასწავლო კურსი იყო 5 კრედიტიანი. დარგის სპეციალისტებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან კონსულტაციებით, განისაზღვრა სასწავლო კურსებისთვის კრედიტის ის რაოდენობა, რამდენიც საჭიროა კურსის პროგრამული მასალის ათვისებისათვის და სწავლის შედეგების მისაღწევად. ზოგიერთი სასწავლო დისციპლინა გახდა 3 და 4 კრედიტიანი, გამომდინარე საგნის სპეციფიკიდან და შინაარსიდან.

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გამოკითხვებმა გამოავლინა უცხო ენის/ენების უფრო საფუძვლიანად შესწავლის აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, კულტურული ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამაში 20 კრედიტამდე გაიზარდა კრედიტების რაოდენობა ინგლისურ ენაში. ასევე, პროგრამაში შეტანილ იქნა მეორე არჩევითი უცხო ენები (ფრანგული, გერმანული, იტალიური, თურქული, რუსული) 20 კრედიტის ოდენობით.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამას დაემატა არჩევითი კურსები, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, არჩევანი გააკეთონ მათთვის სასურველ კურსებზე.

პრაქტიკისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა 5 კრედიტიდან გაიზარდა 10 კრედიტამდე (ზოგიერთ საგანში კი, მაგალითად: ექსკურსიათმცოდნეობა და გიდის ხელოვნება - გაიზარდა საათები პრაქტიკული მეცადინეობისათვის). კრედიტების გაზრდით, სტუდენტებს მეტი საშუალება მიეცემათ, უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა გამოავლინონ პრაქტიკის ობიექტებზე, რაც დაეხმარება მათ პრაქტიკული უნარების განვითარებაში.

გარდა ამისა, დამსაქმებელთა რეკომენდაციებით, მომზადდა სასწავლო კურსები ინგლისურ ენაზე, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ უცხოელ სტუდენტებს, გაიარონ მათთვის შეთავაზებული უცხოენოვანი კურსები.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტებისათვის პროგრამაში ინგლისური ენის კრედიტების გაზრდა და მეორე არჩევითი უცხო ენის შეთავაზება - მნიშვნელოვან წინაპირობას შექმნის პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურის მენეჯმენტი“

დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგად, მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამაში სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსებს დაემატა შემდეგი დისციპლინები: მცირე ბიზნესის მართვის საფუძვლები; ბიზნეს გეგმების შედგენა და მართვა; რისკების მართვა; დროის მენეჯმენტი; ხოლო სპეციალობის არჩევით კურსებს: საერთაშორისო ბიზნესი; მენეჯერული (მმართველობითი) აღრიცხვა; ოპერაციული მენეჯმენტი; ინოვაციური მენეჯმენტი; სამეწარმეო გარემოს რეგულირება; კალკულუსი.

აქედან გამომდინარე, პროგრამაში განახლდა სასწავლო კურსების სილაბუსები; სასწავლო დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინებით, მკაფიოდ განისაზღვრა დაშვების წინაპირობები; დაიხვეწა პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების სწავლებისა და სწავლის მეთოდიკა, შეფასების მეთოდები, სწავლის შედეგები; სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა შეფასების ადეკვატური მრავალფეროვანი მეთოდები და კრიტერიუმები; გაფაროვდა სასწავლო კურსების თემატიკა, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა; სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა განახლდა ახალი გამოცემებით; მომზადდა ახალი რიდერები.

გამლიერდა პრაქტიკის კომპონენტი, რომლის მოცულობა არსებული 5 კრედიტის ნაცვლად განისაზღვრა 10 კრედიტით, რითაც სტუდენტებს მეტი საშუალება მიეცემათ, უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა გამოავლინონ პრაქტიკის ობიექტზე და განივითარონ პრაქტიკული უნარები.

გარდა ამისა, პროგრამაში 15-მდე გაიზარდა კრედიტების რაოდენობა ინგლისურ ენაში (მათ შორის - სპეც. ინგლისური ენა). მომზადდა ინგლისური ენის, აგრეთვე, სხვა უცხო ენების (ფრანგული, გერმანული, იტალიური, თურქული, რუსული) არჩევითი კურსები 20 კრედიტის ოდენობით.

პროგრამის სტრუქტურას ასევე დაემატა სპეციალობის არჩევითი და საფაკულტეტო არჩევითი კურსები, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს არჩევანი გააკეთონ მათთვის სასურველ კურსებზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნებათმცოდნეობა“

აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტთა მოსაზრებების, შრომის ბაზრის კვლევის, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვების ანალიზის გათვალისწინებით, განახლდა სილაბუსები, ახალი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე დაიხვეწა სასწავლო კურსების შინაარსი, გაფართოვდა სასწავლო კურსების თემატიკა, განახლდა სასწავლო რესურსი, სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა შეფასების ადეკვატური მრავალკომპონენტური მეთოდები და კრიტერიუმები, რითაც უფრო მეტად უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევა.

სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. დაკონკრეტდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები აკადემიური სპეციალობების ჩამონათვალის ნაწილში. ნაცვლად ზოგადი ჩანაწერისა „ბაკალავრის ხარისხი ხელოვნებაში, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში“, მითითებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: „ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხი/ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ხელოვნებათმცოდნეობაში; ბაკალავრის ხარისხი ხელოვნებაში, არქიტექტურაში, რესტავრაცია/კონსერვაციის, კულტურის კვლევების მიმართულებით; ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობის დამატებითი (minor) პროგრამის ან ხელოვნების ისტორიის არჩევითი კურსების გავლით“.

2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების ინტერვიუების საფუძველზე, პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიკვეთა, რომ მაგისტრატურის სტუდენტებს დასაწყისშივე არჩეული აქვთ მოდული და კვლევითი მიმართულება. აქედან გამომდინარე, პირველ სემესტრში კონცენტრირებული ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები გადანაწილდა მეორე, მესამე სემესტრებში და მათ ნაცვლად, პირველივე სემესტრიდან განთავსდა როგორც სპეციალობის ძირითადი კურსები, ასევე სპეციალობის მოდულის საგნები და არჩევითი დისციპლინები. სასწავლო პროცესების სტრუქტურის ასეთი განახლების შედეგად პროგრამამ შეიძინა მეტი მოქნილობა და შესაძლებელი გახდა მოდულის საგნების მეტ-ნაკლებად ქრონოლოგიური პრინციპით განთავსება, და ძირითადად მეორე-მესამე სემესტრში კონცენტრირებული სპეციალიზებული მოდულის საგნების თანმიმდევრული გადანაწილება.

3. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მხარეების ჩართულობით, სასწავლო კურსი „ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი და კვლევის მეთოდები“ ნაცვლად 10 კრედიტისა ჩამოყალიბდა 5 კრედიტის მოცულობით. საგნის თეორიული ნაწილი ეთმობა კვლევის მეთოდების გაცნობას და პრაქტიკაში გამოყენების მაგალითების გააზრებას. ანალიზის უნარების განვითარებას ხელს უწყობს სტუდენტის დამოუკიდებელი და ჯგუფში მუშაობისათვის გათვალისწინებული საათები, რომელიც ეთმობა დისკუსიებს ბათუმის ხელოვნების მუზეუმის ფერწერული ექსპონატების, ქანდაკებებისა და არქიტექტურის ნიმუშების ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საკითხებს. ამასთანავე, ხელოვნების ნაწარმოების მხატვრული ფორმის ანალიზის უნარები ფასდება სპეციალობაში მისაღები გამოცდის ნაწილში, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტს უნდა გააჩნდეს საბაკალავრო საფეხურით გათვალისწინებული მხატვრული ფორმის ანალიზის, ხელოვნებათმცოდნეობითი ხედვის ელემენტარული უნარ-ჩვევები. ხელოვნების ნიმუშების ანალიზის ელემენტები ჩართულია თითქმის ყველა სასწავლო დარგობრივი კურსის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილში და ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. აღნიშნული სასწავლო კურსი და დარგობრივი ბლოკის საგნები ემსახურება ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას და აისახება სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მეთოდების შერჩევასა და ხელოვნების ნიმუშების მხატვრულ-სტილისტური ანალიზის უნარების დაუფლებაში.

4. პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკს დაემატა სასწავლო კურსი „კულტურული მემკვიდრეობის მართვა“, რომელიც შეასწავლის სტუდენტს კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მენეჯმენტის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების პრევენციულ, საკონსერვაციო, სარესტავრაციო სტრატეგიებს, საკანონმდებლო ბაზისა და ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის პრინციპებს. საგნის აქტუალობას განაპირობებს ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემის განვითარების, საერთაშორისო გამოცდილების ცოდნისა და გამოყენების მოთხოვნილება. სასწავლო კურსი შემუშავდა დამსაქმებელთა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით.

5. პროგრამის მესამე სემესტრში გათვალისწინებულ კურსში - „კვლევითი პროექტი“ საკვლევი თემატიკა განისაზღვრებოდა მხოლოდ სპეციალიზებული მოდულის ჩარჩოებში წარმოდგენილი ქრონოლოგიური პერიოდითა და ხელოვნების დარგებით. სილაბუსის განახლების შედეგად, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს საკვლევი პრობლემა როგორც ძველი, ასევე თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიის მიმართულებით. კვლევითი პროექტი, წინა სილაბუსით გათვალისწინებული მიმდინარე და დასკვნითი შეფასებისა, შეფასდება ერთჯერადად, კომისიური წესით.

6. სამაგისტრო ნაშრომი, განსხვავებით წინა სილაბუსით გათვალისწინებული მიმდინარე და დასკვნითი შეფასებისა, ახალი სილაბუსით შეფასდება ერთჯერადად, კომისიური წესით.

7. დამსაქმებლებთან ინტერვიუების საფუძველზე თანამედროვე ხელოვნების ისტორიის ბლოკში ჩართულ იქნა XIX-XX საქართველოს არქიტექტურის კურსი, რომელიც ითვალისწინებს ახალი და უახლესი პერიოდის არქიტექტურის ისტორიის განვითარების, ხუროთმოძღვრული თავისებურებების, ღირებულებების, არქიტექტურაში მიმდინარე პროცესების სოციალურ-პოლიტიკურ, ინტერკულტურულ ჭრილში შესწავლას, ასევე თანამედროვე ქალაქების რეაბილიტაცია-ურბანიზაციის პრობლემების გააზრებას.

8. არჩევითი სასწავლო კურსი „კულტურის პროექტის მენეჯმენტი“, შინაარსიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა სახელწოდებით „კულტურის მენეჯმენტი“ და მასში ჩართულ იქნა პროექტზე მუშაობის კომპონენტიც.

9. არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკს დაემატა კურსი „მარკეტინგული კომუნიკაციები“, რომელიც გათვალისწინებულია მარკეტინგის თავისებურებების შესახებ ცოდნის შექმნის, პრაქტიკაში დანერგვისა და განხორციელების ხერხების დასაუფლებლად, რაც დაეხმარება სტუდენტს ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მარკეტინგის უნარების გამოყენებაში.

10. სასწავლო კურსი „XX საუკუნის მუსიკის ისტორია“ - საგნის მიზნების, შინაარსისა და შედეგებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა სახელწოდებით „XX საუკუნის მუსიკის ძირითადი ტენდენციები“.

11. სასწავლო კურსები განახლდა ახალი სასწავლო-სამეცნიერო რესურსით, სპეციალობის სასწავლო კურსებში შემუშავდა რიდერები ქართულ ენაზე.

12.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“

სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები.

კერძოდ: პროგრამაში მნიშვნელოვანი სიახლეა მაგისტრანტობის კანდიდატა მიღების წესში განხორციელებული ცვლილება. გათვალისწინებულ იქნა პარტნიორი დაწესებულებების/პოტენციური დამსაქმებლების წარმომადგენელთა წინადადება - უცხო ენის, კერძოდ, ინგლისური ენის ფლობასთან დაკავშირებით. ხელოვნების დაწესებულებების საერთაშორისო კავშირები პარტნიორებთან, გასტროლების უცხოეთში დაგეგმვა, საერთაშორისო ფესტივალების ორგანიზება ან მათში მონაწილეობა - მმართველობით სფეროში დასაქმებული პერსონალისაგან მოითხოვს ინგლისური ენის შესაბამისი დონის ცოდნას. აღნიშნული წინადადების გათვალისწინებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში შეტანილია ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნა, რომელიც მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა დაადასტუროს უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდაზე. ინგლისურ ენაში B2 დონის დადასტურება ასევე შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით.

პროგრამის ძირითად ნაწილში სპეციალობის არჩევითი კურსები დამატებულია ორ ნაწილად (ზოგადი მენეჯმენტი, ხელოვნების მენეჯმენტი), რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, არჩევანი გააკეთონ მათთვის სასურველ კურსზე. პროგრამის სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს დაემატა ინფორმაციული ტექნოლოგიების შემსწავლელი კურსი.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში პრაქტიკისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა 5 კრედიტიდან გაიზარდა 10 კრედიტამდე. კრედიტების გაზრდით სტუდენტებს მეტი საშუალება მიეცემათ, უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა გამოავლინონ პრაქტიკის ობიექტებზე და განავითარონ პრაქტიკული უნარები.

დაიხვეწა პროგრამის სასწავლო კურსების სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია, შეფასების მეთოდები, სწავლის მიზნები და შედეგები. გაფართოვდა სასწავლო კურსების თემატიკა, განახლდა სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, მომზადდა ახალი რიდერები.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა : სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებელი

2024 წელს მუსიკისა და განათლების, ჰუმანტიარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბაზაზე შემუშავდა დამოუკიდებელი 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც გაერთიანდა ორი სახელოვნებო მიმართულება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა. პროგრამის სტრუქტურა ჩამოყალიბდა პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდულის, საგნობრივი

მეთოდიკების მოდულის სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების სახით.

დარგობრივი მახასიათებლის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტთა მოსაზრებების, შრომის ბაზრის მოთხოვნების, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვების ანალიზის გათვალისწინებით, შეიცვალა სასწავლო პროგრამის სტრუქტურა, პროგრამაში გაერთიანდა ორი სახელოვნებო მიმართულება, განახლდა სილაბუსები, ახალი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე დაიხვეწა სასწავლო კურსების შინაარსი, გაფართოვდა სასწავლო კურსების თემატიკა, დაიხვეწა სასწავლო კურსების სწავლებისა და სწავლის მეთოდიკა, შეფასების მეთოდები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსების თემატიკა, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, განახლდა სასწავლო რესურსი, საგნის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა შეფასების ადეკვატური მრავალკომპონენტური მეთოდები და კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

➤ პროგრამაში გაერთიანდა სახელოვნებო მიმართულებები და იგი ჩამოყალიბდა სახელწოდებით: „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებელი. პროგრამის სტრუქტურა შეიცავს პედაგოგიურ ბლოკს (28 კრედიტი) და დარგობრივი მეთოდიკების მოდულს (32 კრედიტი).

➤ სასწავლო კურსის მიზნების, შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, დაკონკრეტდა თითოეული კურსის კრედიტის მოცულობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, განახლდა სასწავლო კურსების შინაარსი და ლიტერატურა;

➤ სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, სასწავლო კურსი „ზოგადი განათლების სამართლებრივი საფუძვლები“ ჩამოყალიბდა სახელწოდებით „ზოგადი განათლების სისტემა და სამართლებრივი საფუძვლები“.

➤ აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების წინადადებების საფუძველზე საგანი „სახვითი ხელოვნების პრაქტიკული კურსის სწავლების მეთოდიკა“ ნაცვლად 6 კრედიტისა ჩამოყალიბდა 5 კრედიტის მოცულობით, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის გათვალისწინებული საათების გონივრული განაწილებით - 35/90.

➤ სასწავლო კურსი „დეკორატიული ხელოვნება (პრაქტიკული კურსი სწავლების მეთოდიკით)“ ნაცვლად 6 კრედიტისა ჩამოყალიბდა 5 კრედიტის მოცულობით - 33/92 საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათებით.

➤ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა რეკომენდაციების საფუძველზე, პროგრამის საგნობრივ ბლოკს დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები 2 კრედიტის მოცულობით:

➤ სპეცკურსი „პლასტიკური ხელოვნება (პრაქტიკული კურსი სწავლების მეთოდიკით)“ შეასწავლის სტუდენტს დაზგური და დეკორატიული ქანდაკების ნიმუშების შექმნისა და სწავლების ტექნიკასა და მეთოდებს;

➤ სასწავლო კურსის „აპლიკაცია და კოლაჟი (პრაქტიკული კურსი სწავლების მეთოდლიკით)“ მიზანია სხვადასხვა მასალაში მუშაობის გამოცდილების შექმნა, შემოქმედებითი ხედვის განვითარება, სხვადასხვა ფაქტურის მასალების გამოყენებით მხატვრული ნამუშევრების შექმნისა და სწავლების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

➤ „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლებაში“ მიზნად ისახავს სხვადასხვა სახის საინფორმაციო რესურსების ეფექტურ გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში.

➤ მუსიკის მასწავლებლის მომზადების მიმართულებით ზოგადი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ბლოკი მოიცავდა 25 კრედიტს და სამუსიკო ბლოკში ათვისებული იყო 35 კრედიტი. პროგრამების გაერთიანების შედეგად, საერთო პედაგოგიურ ბლოკს დაემატა სასწავლო კურსი „ზოგადი განათლების სისტემა და სამართლებრივი საფუძვლები“. ცვლილებების შედეგად პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ საგნობრივი ბლოკი ჩამოყალიბდა 28 კრედიტის, ხოლო სამუსიკო ხელოვნება 32 კრედიტის მოცულობით;

➤ სასწავლო კურსი „პედაგოგიური პრაქტიკა“ საჯარო სკოლაში მოიცავდა 7 კრედიტს, მოდიფიცირების შედეგად „სასკოლო პრაქტიკის“ კრედიტი გაიზარდა 10-მდე, რაც შესაბამისობაში მოვიდა სახვითი და გამოყენებითი პროგრამის ერთსახელიან სასწავლო კურსთან.

➤ მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში „ხალხური მუსიკის სწავლების მეთოდლიკა“ კრედიტების მოცულობა გაიზარდა და გახდა 3 კრედიტი. შესაბამისად, გაიზარდა საათების რაოდენობაც. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ აუცილებელი ღირებულებაა მოსწავლეებში ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება და ეროვნული კულტურის პოპულარიზაცია, გაცნობა, შესწავლა, შესრულება.

➤ მუსიკის საგნობრივ ბლოკში, მონიტორინგისა და სტუდენტთა გამოკითხვების შედეგებით, სამი საგანი: „სამუსიკო პედაგოგიკა და ფსიქოლოგია; პედაგოგიური პრაქტიკა სამუსიკო სკოლაში/გუნდის დირიჟორობა; არჩევითი საკრავი - ფორტეპიანო, გიტარა, ჩონგური“ გადავიდა არჩევით საგანთა ბლოკში;

➤ დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებით, პროგრამის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები ორიენტირებულია დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე და სწავლის მოსალოდნელი შედეგები და კომპეტენციები შესაბამისობაშია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული უფროსი მასწავლებლის სტატუსით გათვალისწინებულ შედეგებთან.

სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებაზე: პროგრამის პედაგოგიური და საგნობრივი მიმართულების საგნების სწავლის შედეგები, ანალიტიკური, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების სინთზი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის კარიერულ წინსვლას უფროსი მასწავლებლის სტატუსისა და უნარ-ჩვევების შესაძენად.